

ყვარლი

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

კოოპერატივ „გავაზის საუკეთესო ვენახებს“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი სტუმრობდა



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გავაზის საუკეთესო ვენახები“, რომელიც 29 მევენახეს აერთიანებს, 2017 წელს „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართული და ყურძნის გადამამუშავებელი საწარმო მოაწყო. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე სთარან ირაკლი შიოშვილიანი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარესთან, გიორგი მიშელაძესთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „გავაზის საუკეთესო ვენახების“ მფლობელებს შეხვდა და კოოპერაციულ საწარმოში ყურძნის მიღების პროცესს გაეცინა. კოოპერაციულ საწარმოში, მიმდინარე წელს, 120 ტონა ყურძნის გადამამუშავება იგეგმება. ამ ეტაპზე, ყურძნის მიღების პროცესი მიმდინარეობს; დაგეგმილია კოოპერატივის წარმოებული ღვინის ექ-

სპორტი ბელარუსის რესპუბლიკაში... კოოპერატივი ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა. კოოპერატივებისათვის არაერთი სახელმწიფო პროგრამა, მათ შორის, „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება. ამ პროგრამაში ჩართულობით კოოპერატივის წევრებს საშუალება მიეცათ ყურძენი საკუთარ საწარმოში გადამამუშავონ და გაზრდილი შემოსავალი ღვინის რეალიზაციიდანაც მიიღონ, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ღვინის მე-10 საერთაშორისო კონკურსზე „International Wine Competition 2018“ კოოპერატივის „გავაზის საუკეთესო ვენახები“ პირველი მოსავლიდან დამზადებული ღვინის 3 მიმუში იყო წარდგენილი. ღვინო საფერავი და კახური, ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა, ხოლო რქანთელმა, ბრინჯაოს მედლი დაიმსახურა.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, თორნიკე ჩუბინიძის ღვინის მარანი ინახულა. ახალგაზრდა მეღვინე, თორნიკე ჩუბინიძე ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში თბილისიდან საცხოვრებლად 2016 წელს გადავიდა. იმავე წელს, „შელავთან აგროკრედიტის“ პროგრამის მხარდაჭერით, ღვინის მარანი ააშენა და პირველი მოსავალი დაწურა. 2017 წელს, თორნიკე ჩუბინიძემ ექსპორტზე 40 ათასამდე ბოთლი ღვინო გაგზავნა. „მარანი ჩუბინი“ ექსპორტის მსოფლიოს 4 ქვეყანაში ახორციელებს: იაპონიაში, ჩინეთში, საფრანგეთში და აშშ-ში. როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა მარანში სტუმრობისას აღნიშნა, თორნიკე ჩუბინიძემ, საკუთარი მიზანდასახულობით და

მინისტრმა ჩუბინიძის ღვინის მარანი მოინახულა

სახელმწიფოს მხარდაჭერით, მოკლე დროში მიაღწია წარმატებას, აწარმოებს ღვინოს, ახორციელებს ექსპორტს, გეგმავს მარანი და მეღვინეობის დარგის მნიშვნელოვან მიმართულებას – ღვინის ტურისმის ახვითარებს. „მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გატარებული სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ღვინის ინდუსტრია, გაიზარდა ღვინის ექსპორტი, რასაც შედეგად, ღვინის საწარმოებისა და მარნების რაოდენობის გაზრდა მოჰყვა. თუ 2012 წელს საქართველოში 50-მდე სხვადასხვა მოცულობის ღვინის საწარმო და მარანი იყო, დღეს მათი რიცხვი 500-მდე გაიზარდა“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა. „ამერიკაში ჩვენი ღვინის ექსპორტის პირველი პარტია რამდენიმე დღის წინ გაგზავნეთ. ამერიკელ იმპორტიორებთან კონტაქტი ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი დეგუსტაციის შემდეგ დადგინდა. მიმდინარე ზაფხულს ჩვენმა მარანმა 15-მდე ქვეყნის ქართული ღვინის კულტურით დაინტერესებულ ტურისტს უმასპინძლა. მარანში სხვადასხვა მოცულობის 28 ქვეყნიდან გაქვს. ყურძენს მევენახეებისგან ვყიდულობთ, თუმცა, სამომავლოდ, აუცილებლად შევიძენ საკუთარ ვენახს და წარმოებასაც გავაფართოებ“, – აღნიშნა თორნიკე ჩუბინიძემ მინისტრთან საუბრის დროს. კახეთში ვიზიტის დროს მინისტრმა კომენტარი მიმდინარე რთულ ვითარებაზე გააკეთა. „მეღვინეობის დარგში არსებული ჯანსაღი კონიუნქტურიდან გამომდინარე, რთველის პროცესი ორგანიზებულად და შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს. მოსავლის დიდი ნაწილი უკვე დაბინავებულია, გადამამუშავებულია 130 ათასამდე ტონა ყურძენი; კახეთში მევენახეების შემოსავალმა 190 მლნ ლარს გადააჭარბა“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად საწარმოში კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი, გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი და ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან მესხიანი იმყოფებოდნენ.



პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაცია

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში პროფესიულ – საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაცია გაიმართა. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, როსტომ სესიაშვილმა სიტყვით გამოხსენისას ისაუბრა პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობაზე. პროფესიული განათლება უზრუნველყოფს ქვეყანაში კვალიფიციური კადრების დეფიციტის მინიმუმამდე დაყვანას. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და ახალგაზრდებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

რთველი – 2018 კახეთში მევენახეობის შემოსავალმა 204 მილიონ ლარს მიაღწია

25 სექტემბრის მონაცემებით კახეთში 152 ათასამდე ტონა ყურძენი გადამამუშავდა და მევენახეობის შემოსავალმა 204 მილიონ ლარს მიაღწია. რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსის, ანდრო ასლანიშვილის ინფორმაციით, კახეთში რთველი კვლავ აქტიურ პროცესშია და ყურძნის მოსავლის დაბინავება ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. „დღელამურად, საშუალოდ 5-6 ათასამდე ტონა ყურძენი მუშავდება საწარ-

დელიშვილისწყარო – 3,8 ათასი ტონა, ახმეტა – 13 ათასი, ლაგოდეხი – 4 ათასი ტონამდე და საგარეჯო – 6 000 ათასი ტონა. მთლიანად გადამამუშავებული ყურძნიდან 66 ათასი ტონა საფერავი, 80 ათასი ტონა რქანთელი, 6 ათასი ტონა კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. ბუნებრივია ისმის კითხვა, ორგანიზებულად მიმდინარეობდა, თუ ხელისშემშლელი ფაქტორების გამო მევენახე-



მუბის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ კახეთში რთველი კვლავ აქტიურ ფაზაშია. რთველის დაწყებიდან დღემდე, ყურძენი ღვინის საწარმოებს უკვე 15 000-მა მევენახეებმა ჩააბარა, რომელთა შემოსავალმა 204 მილიონ ლარს მიაღწია. ამ პერიოდში, ყველდღეობდა ყურძნის გადამამუშავების პროცესში ჩართულია ორას-თითხმამდე ღვინის საწარმო კახეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, რაც ნიშნავს, რომ რთველი კახეთში შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს. რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბში ამ დროისათვის 225 კომპანიაა დარეგისტრირებული. ყურძენი უკვე გადაამუშავა 214-მა ღვინის კომპანიამ. ყველზე დიდი რაოდენობით ყურძენი გადამამუშავდა ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში 46 ათასი და 43 ათასი ტონა, შემდეგ მოდის თელავი – 34 ათასი ტონა, სიღნაღი – 15 ათასი ტონა,

ებს უშედეგოდ ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოში მოსავლის ჩაბარება. ასევე მისაღები იყო თუ არა ყურძნის სარეალიზაციო ფასები და რა ეკონომიკური შედეგები დაფიქსირდა ყვარლის მუნიციპალიტეტში. ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს მამუკა ბერიაშვილს ვესტუმრე და მიმდინარე რთველის შესახებ ვისაუბრე. – ყვარლის მუნიციპალიტეტში როგორ მიმდინარეობს რთველი, ხომ არ იყო ხელისშემშლელი პრობლემები? – ყვარლის მუნიციპალიტეტში „რთველი-2018“ წარმატებულად მიმდინარეობს. მთელი წლის განმავლობაში მევენახეთა თავდაუზოგავმა შრომამ მართლაც

კახეთში მიწისხარის შემოსავალმა 204 მილიონ ლარს მიაღწია



დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

არნახული შედეგი გამოიყო. თითქმის მთლიანად შენარჩუნებულია მოსავალი სექტორით დაზიანებული ფართობების გარდა. აღსანიშნავია ყურძენზე შესასყიდი ფასებიც. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ მიმდინარე წელს მთლიანად შეწყდა ყურძნის სუბსიდირება, რქანიტელზე შენარჩუნდა გასული სეზონის ფასები, ხოლო საფერავზე არსებულმა ფასებმა მევენახეთა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დაფიქსირდა ისეთი შესასყიდი ფასები რაც ევროპულ ქვეყნებშია – თითქმის ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. წლებდელ რთველში დაფიქსირდა მცირედი შეფერვებები, რაც გამოწვეული იყო რთვლის პიკის დღეებში ქარხნებთან რიგებით, მაგრამ ოპერატიულად ხდებოდა სხვა სანარმოებში გადამისამართება „რთველი – 2018“-ს შტაბის მიერ და მცირე დროში ხდებოდა შეფერვების აღმოფხვრა. ამასთან, გეტყვით, რომ კახეთის რეგიონში გახსნილი 214 ღვინის კომპანიიდან 60-მდე კომპანია ფუნქციონირებს ჩვენს მუნიციპალიტეტში. ასევე ხდებოდა „ქინძმარაულის“ საფერავის ყურძნის გატანა სხვადასხვა კომპანიების მიერ, რაც ხელს უწყობდა ფასების სტაბილიზაციას.

– დღეისათვის რამდენია ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებში ჩაბარებული ყურძნის მოსავალი და სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მევენახეთა შემოსავალმა რამდენ ლარს მიაღწია?

– დღეისათვის ყვარლის მუნიციპალიტეტში ყურძნის მოსავლის დიდი ნაწილი უკვე დაზიანებულია. 44 ათასამდე ტონა ყურძენი ღვინის კომპანიებს 3 ათასამდე მევენახემ ჩააბარა და მიღებულმა შემოსავალმა 70 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც შარშანდელ შემოსავლებს 50 პროცენტით აღემატება. (გასულ წელს ჩაბარდა 35 ათასი ტონა 45 მილიონი ლარის ღირებულებით). ღვინის კომპანიებში გადამამუშავებული ყურძნიდან ნახევარზე მეტია საფერავი – 22 ათასი ტონა, 20500 ტონა რქანიტელი, ხოლო 2 ათასამდე კახური მწვანე და სხვა ჯიშები.

– რომელ სოფლებში დარჩა ყურძენი მოსაკრეფი და დაახლოებით რამდენ ტონას ჩააბარებენ ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებს?

– მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გარდა მთისძირისა, რთველი გრძელდება. ჩვენი მონაცემებით ყურძნის გადამამუშავებელ სანარმოებს ჩაბარდება 4 ათასამდე ტონა ყურძენი. ძირითადად ყურძნის მოსავალი დარჩენილია სოფ-

ლებში გავაზი, ბალოჯიანი, ახალსოფელი, შილდა, საბუე, ასევე სხვა სოფლებში მოსაკრეფია დიდი ფართობების მფლობელების ვენახების ნაწილი.

– საკუთარი მოხმარებისთვის და რეალიზებულ ყურძენს თუ ჩავთვლით რამდენი ტონა მოიკრიფება ყვარლის მუნიციპალიტეტში?

– ტრადიციულად მუნიციპალიტეტში საკუთარი მოხმარებისთვის რთველი ტარდება მას შემდეგ, როცა მოკრეფენ სარეალიზაციო ყურძენს. ასევე სექტემბრის ბოლოს – ოქტომბრის დასაწყისში ხდება ყურძნის გაყიდვა კერძო პირებზე. ყოველწლიურად საფერავდოდ მევენახეები პირადი მოხმარებისთვის გამოიყენებენ 4000 ტონამდე ყურძენს, ხოლო ვენახებიდან ან ბაზრებზე იყიდება 4,5-5 ათას ტონამდე ყურძენი. თუ ამ რაოდენობას დავამატებთ ყურძნის გადამამუშავებელ სანარმოებში ჩაბარებულ ყურძენს, მივიღებთ 56 ათას ტონას, რაც რეკორდულია არა მარტო

გაძლიერებით, მევენახეობის რაიონებში სექტყვის სანინალმდეგო დანადგარების განთავსებით და მისი ეფექტური გამოყენებით, სიახლეების მევენახეებამდე მიტანით, მთლიანად შეცვალა დარგში არსებული მდგომარეობა. გაშენდა ახალი ვენახები, ძირითადად საფერავი 3 ათასამდე ჰექტარზე. სასუქების ეფექტური გამოყენებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსავლიანობა. ყვარლელმა მევენახეებმა ვენახს შეხედეს როგორც შემოსავლის ძირითად და შეუცვლელ წყაროს და არ დააკლეს შრომა და ენერჯია, ასევე არ დაიშურეს ფინანსები ხარისხიანი სასუქების და შხამქიმიკატების შესაძენად, რამაც მართლაც არნახული შედეგი გამოიყო.

– როგორია მევენახეობის განვითარების პერსპექტივა ყვარელში?

– ამ კითხვზე პასუხის გაცემა მართლა არ მიჭირს. ყვარელი წარმოადგენს „ქინძმარაულის“ მიკროზონას. ჩვენი საფერავის ფასი 70-90 თეთრი მალა-



დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არამედ კომუნიტურ ეპოქაშიც კი არ ყოფილა ასეთი რაოდენობის მოსავალი.

– რამ განაპირობა ყურძნის რეკორდული მოსავალი და პერსპექტივაში როგორ განვითარდება მევენახეობა?

– უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობის, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი სტრუქტურების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, რაც გამოიხატებოდა ღვინის სარეალიზაციო ბაზრების მოძიებით, ქართული ღვინის ცნობადობის

ლია სხვა საფერავთან შედარებით. ჩენი ღვინოები ცნობილია და უპრობლემოდ იყიდება საექსპორტო ბაზრებზე. ყოველივე ამან ერთ-ორად გაზარდა ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საფარგულების ფასი. როცა მეკითხებიან რა შეიძლება გავაუმჯობესოთ, რომ მივიღოთ მაქსიმალური შემოსავალი? იქ, სადაც შესაძლებელია საფერავის ვაზის გაშენება, აუცილებლად უნდა გაშენდეს ვენახი. მუნიციპალიტეტის ფერმერთა მიდგომაც ასეთია.

ესაუბრა ალექსანდრე გიგილიშვილი



ველისციხეში ნიჰნის ზეთის გადამამუშავებელი სანარმო გაიხსნა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში ნიჰნის ზეთის გადამამუშავებელი სანარმო გაიხსნა. სანარმო, რომელშიც ერთი მილიონი ლარის ინვესტიცია უკრაინულმა კომპანიამ **ekogorgian group**-მა განახორციელა, თანამედროვე სტანდარტების უცხოური ნარმოების მანქანა-დანადგარებითაა აღჭურვილი.

სანარმოს გახსნის ღონისძიებას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ლევან დავითაშვილი, კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი და გურჯაანის მაიორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი დაესწრნენ.

ლევან დავითაშვილის განცხადებით, ყოველი ახალი სანარმოს გახსნა და ქვეყანაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები, რეგიონის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

კონტროლი, რომელიც ყურძნის გადამამუშავების შემდეგ რჩება. სანარმოებიდან მიღებული ეს მასა, ანუ ჭაჭა, მრავალი წლის განმავლობაში მეორადი ნარმოების, ანუ ღვინის ფალსიფიკაციის წყარო იყო, ეს ღვინო კი, ძირითადად, ადგილობრივ ბაზარზე იყიდებოდა.

სანარმოდან ჭაჭის გატანა და ფიზიკური პირებზე გადაცემა უკვე რამდენიმე წელია შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, ღვინის სანარმოები ყურძნის დანურების შემდეგ დარჩენილ ჭაჭას ანადგურებენ, რაც საკმაოდ გარკვეულ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ახლადგახსნილ სანარმოში კი, ჭაჭის მასის გადამამუშავებით, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტია მიიღება, – აღნიშნა მინისტრმა.

მიმდინარე წელს სანარმოში დაგეგმილია 3 ათასი ტონა ყურძნის ჭაჭის მიღება-გადამამუშავება, საიდანაც მიღებული



კახეთის რეგიონისთვის ნიჰნის გადამამუშავებელი სანარმოს გახსნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ხარისხის კონტროლის მიმართულებით ბოლო წლებში მიღებული გადაწყვეტილებების ფონზე.

ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ნარჩენების მართვაა. 2014 წლიდან ჩვენ მივიღეთ სტრატეგიული გადაწყვეტილება და დავინყეთ იმ გამონახილი მასის მკაცრი

იქნება 55-60 ტონამდე ყურძნის ნიჰნის ზეთი და ნიჰნის ფქვილი.

პროდუქცია, ამ ეტაპზე, მთლიანად საექსპორტოდაა განკუთვნილი და რეალიზაციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები თურქ და ესპანელ პარტნიორებთან მიმდინარეობს.

სანარმოში მუდმივად დასაქმებული იქნება 25-მდე ადგილობრივი, ხოლო სეზონურად (აგვისტო-ნოემბერი), დასაქმებულითა რაოდენობა გაიზრდება.

კენკროვანი კულტურების გაშენების შესაძლებლობების განხილვა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი კვიპროსული კომპანიის **K. Hamboulas & Son Ltd.** თავმჯდომარეს, მარიოს ჰამბულას შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში კენკროვანი კულტურების გაშენების მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა სტუმრებს კენკროვანი კულტურების განვითარების სახელმწიფო პროექტის შესახებ მიაწვდინა ინფორმაცია, მინისტრის მოადგილემ ქვეყანაში აგრარული დარგის პოტენციალსა და უცხოური ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელობასა და შესაძლებლობებზე გაამახვილა ყურადღება.

გიორგი ხანიშვილის განცხადებით, კენკროვანი კულტურების გაშენება საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს, რაც

მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას.

კომპანია **K. Hamboulas & Son Ltd.** თავმჯდომარის მარიოს ჰამბულას განცხადებით, საქართველოს ნიადაგი და კლიმატი კენკროვანი კულტურების ნარმოებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ქვეყანას კონკურენტუნარიანი, საექსპორტო პროდუქტის ნარმოების და, შესაბამისად, იმპორტის ჩანაცვლების რეალური პოტენციალი აქვს.

შეხვედრის მონაწილეებმა კენკროვანი კულტურების ნარმოების ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს და საქართველოში მალე მოსავლიანი ჯიშების შემოტანაზე იმსჯელეს.

შეხვედრას საქართველოს საპატიო კონსული კვიპროსში ლიოზოს მარკიდესი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დარგობრივი უწყებებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

26 სექტემბერი წიდა ქეთევან ნამეზულის ხსენების დღეა

26 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წიდა დედოფალ ქეთევან დედოფლის ხსენების დღე აღინიშნა.

მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოში იყო გარემო მტრის წინააღმდეგ გამორეული ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითები, თუმცა რიგ შემთხვევებში ერთ უძლური იყო იარაღით ხელში დაეცვა ეროვნული ღირსება.

ქეთევან დედოფალმა, რომელიც ირანის შაჰის ტყვეობაში აღმოჩნდა, მართლმადიდებლური სარწმუნოების მტკიცე დაცვითა და შეუპოვრობით ერს ღირსება შეუნარჩუნა.

ქეთევანი, ამოთან მუხრანბატონის ასული, დაიბადა 1570 წლის ახლო ხანებში. ქეთევანი კახეთის მეფის, ალექსანდრეს უფროს ვაჟზე, დავითზე დაქორწინდა, მეფე ალექსანდრეს ერთ-ერთი შვილი, კონსტანტინე, შაჰ-აბასის კარზე იზრდებოდა და რჯულიც გამოცდილი ჰქონდა.

ალექსანდრე მეფე მონაზვნად ალიკეცა ალავერდის ტაძარში. ტახტი ქეთევანის მეუღლემ დავითმა დაიკავა, მაგრამ ოთხივე თვეში, 1602 წელს, კახეთის ახალგაზრდა მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა. დაქვრივებულ ქეთევანს დარჩა ქალ-ვაჟი – თეიმურაზი და ელენე. ალექსანდრე კვლავ სამეფოს დაუბრუნდა. ქვეყნის არეულობისა და სხვადასხვა სამშრობის გამო, ქეთევანმა, თეიმურაზი სპარსეთში, შაჰ-აბასთან გაგზავნა.

შაჰ-აბასმა, თავის კარზე აღზრდილ გამაჰმადიანებულ კონსტანტინე-მირზას უბრძანა, წახულიყო კახეთში, მოეკლა მოხუცებული მამა, მოეკლა ღვიძლი ძმა გიორგი და თვითონ ასულიყო კახეთის სამეფო ტახტზე.

გამაჰმადიანებულ კონსტანტინე-მირზამ მოაკვლევინა საკუთარი მამა, კახეთის მეფე ალექსანდრე, ძმა გიორგი და მათთან მყოფი რუსთველი ეპისკოპოსი, შემდეგ მამისა და ძმის მოკვებითა თავი შაჰ-აბასს მიართვა ერთგულების ნიშნად, თავმოკვეთილი სხეულები კი აქლემი აპკიდა და ქეთევანს გაუგზავნა.

კონსტანტინემ უსურცხვილოდ შეუთვალა ქეთევანს: „შეგირთავ ცოლად და შენც მორჩილ მექმენ, რათუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადისა“. კონსტანტინე კარგად ხედავდა

დედოფლის ავტორიტეტს მთელს სამეფოში და მამისა და ძმის სისხლის საფასურად მითვისებული სამეფო ტახტის შენარჩუნება უფრო უნდოდა ვიდრე ქეთევანის მეუღლეობა.

ქეთევანმა კახეთის დიდებულები იხმო და სარწმუნოების სინამდისა და ქვეყნის ერთიანობის დასაცავად მოუწოდებდა. დიდებულებმა ერთგულება შეჰფიცეს დედოფალს, შეიკრიბნენ, მიუვარდნენ კონსტანტინე მირზას და სიცოცხლეს გამოასალმეს. ქეთევანმა ურწმუნო კონსტანტინეს გვამი ბაგრატიონთა გვარისათვის შესაფერისი პატივით დაკრძალა, შაჰს დიდძალი ძღვენი გაუგზავნა და სთხოვა, კახეთის მეფედ თეიმურაზი დაემტკიცებინა. მანამდე კი, დროებით, თვითონ იტვირთა სამეფოზე ზრუნვა.

შაჰ-აბასი შეშინდა, კახეთი განმიდგება, ქართლს შეუერთდება და საბოლოოდ დაეკარგავო, ამიტომაც სასწრაფოდ დიდი პატივით დააბრუნა საქართველოში უფლისწული თეიმურაზი.

გაიხარა ქეთევან დედოფალმა შვილის ხილვით, გაიხარა მთელმა სამეფომ ქრისტიანი უფლისწულის დაბრუნებით. თეიმურაზი ქრისტიანული წესით აკურთხეს მეფედ და ქვეყანაში დროებით სიმშვიდემ დაისადგურა. ახალგაზრდა მეფემ გურიელის ასული ანა შეირთო. მეფე-დედოფალს სამი შვილი – ლევანი, ალექსანდრე და თინათინი შეეძინათ. მალე ანა დედოფალი გარდაიცვალა. შაჰის იძულებით, თეიმურაზი მეფე, ქართლის მეფის – ლუარსაბის და, ხორეშანი შერთო, თვითონ კი ხორეშანის და – ელენე ნაიყვანა ცოლად. ასე ცბიერებით „დაუმოყვანა“ შაჰ-აბასი ქართლ-კახეთის სამეფოს, ნამდვილად დამოყვრებულ ქართლსა და კახეთს შორის კი მუდმივად თესავდა განხეთქილებას.

შაჰ-აბასმა 1614 წელს ელჩი გამოუგზავნა თეიმურაზს და ერთგულების ნიშნად შვილი სთხოვა მძევლად. ცოლად თეიმურაზმა შაჰის ვერაგობა, მაგრამ უმცროსი ვაჟი, ალექსანდრე მაინც გაგზავნა სპარსეთში, თან ქეთევანიც გააყოლა: „ჰგნებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ-აბასისგან“. შაჰმა უფროსი შვილი, ლევანიც მოსთხოვა და როცა ისიც თავისთან დაიგულა, კვლავ შეუთვალა თეიმურაზს: „რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარ, შენც მოდი და მნახეო“. შაჰს სურდა კახეთის სამეფო კარისთვის ერ-

თად მოეყარა თავი და ერთიანად ამოეწყვიტა. დრო აღარ ითმენდა. თეიმურაზმა და ლუარსაბმა გაერთიანებული ძალებით სძლეს ჟღერით დაბანაკებულ მტერს.

დაიწყო ქართლის ცხოვრების უსაშინლესი პერიოდი. კახეთის დასალაშქრად გამზადებულმა შაჰ-აბასმა ქეთევანი და მისი შვილიშვილები მირას გაგზავნა, თვითონ კი კახეთს შემოესია, ააოხრა ქვეყანა და ეკლესია-მონასტრები, გადაასახლა და დააცარიელა სოფლები. სამსათასზე მეტი ქართველი სპარსეთში გადაასახლა, გაუდაბურებულ ქვეყანაში კი უღლესები ჩამოასახლეს. დამარცხებული თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთის მეფემ, გიორგიმ შეიფარა.

მირაზს გადასახლებიდან ხუთი წლის შემდეგ ქეთევანი, რომელმაც შვილიშვილების უბედურება არ იცოდა, მირაზის მართვლის, გაათავისუფლებული ქართველის, იმამ-ყული-ხან უნდოდა მისი სასახლეში ცხოვრობდა. ნაქართველარი თათარი დიდი პატივით ეპყრობოდა ქეთევანს და ამბობდა, დიდად საპატიო სტუმარი არის ჩვენი, ის კი არ არის ტყვე, ჩვენ თვითონ ვართ მისი ტყვეები. მისი ბრძანებით წმინდა ქეთევანს არ უშეხდნენ თუ რა საშინელი ბედი ენით ბატონიშვილებს – ლევანსა და ალექსანდრეს.

ათი წელი იტანჯებოდა ქეთევანი „საპატიო“ ტყვეობაში. მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით გაიღია დედოფლის სხეული. მაინც მხნედ იყო, უვლიდა, ზრუნავდა და ზედ დაჰფოფინებდა მის გამგებლობაში მყოფ ოციოდ ქართველს. ქეთევან დედოფლის მსახურთა შორის იყო მღვდელი ვასილი და მღვდელი მოსე, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად აღასრულებდნენ ნირვებს, ამზადებდნენ დედოფალს მონაშენისათვის და თვითონაც ყოველდღიურად ელოდნენ ქრისტესთვის სიკვდილს.

ხედავდა შაჰი, რომ „უდრეკ იყო დედოფალი“ და ჯვარცმულ მაცხოვარს ავედრებდა თავის ჯვარცმულ ქვეყანას. შაჰმა გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლენინებინა ქეთევანისათვის. მისი უზნებობა და თავებობა იქამდე მივიდა, რომ ცოლობა სთხოვა ზნესრულ დედოფალს და ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა ქეთევანმა თავისი შვილიშვილების ბედი შეიტყა.



შაჰმა იმამ-ყული-ხანს შეუთვალა „ქეთევან დედოფალი თუ გაათავადდეს, ნურას აწყენ და თუ არ გაათავადდეს, ანამე და სასჯელით მოჰკალიო“. შეძრწუნდა უნდოდა, „ბერი დედაკაცი არის და ახლა ეს არ გაათავადდება, რას აქნევ ამის გაათავადებას, თქვეთვის სირცხვილი არისო მისი სიკვდილი“. შაჰ-აბასმა ბრძანების სასწრაფოდ აღსრულება უბრძანა მირაზის ხანს. უნდოდა შეევედრა დედოფალს, სხვის დასახნად მაინც ალიაზე ალაპი, გულში კი ქრისტეიანად დარჩიო. ქეთევანმა მტკიცედ უარყო უნდოდა მისი ნათქვამი და ნამებისთვის განემზადა. „მეუფეო ქრისტე, სიტყვაო ღმრთისაო, არა შეუწონდა მხეველისა შენისად უარის ყოფი შენი, ნუ მიმცემ ეშმაკსა მხეველსა შენსა“, შეევედრა მაცხოვარს, მიიღო წმინდა ზიარება და უმშობრად დადგა ჯალათების წინაშე.

ხალხით გაჭვდილ მოედანზე გაიყვანეს დედოფალი, ჯალათებმა მოიტანეს სპილენძის ქვაბები, დაანთეს ცეცხლი, ჩაანყვეს შიგ შანთები გასახურებლად და სადღესასწაულოდ შემოსილი დედოფალი კოცონის წინ დააყენეს. მხოლოდ ერთი რამ ითხოვა წმინდა ქეთევანმა: „დღისი ნაშობნი ხართ თქვენც, ნუ შეურაცყოფთო სიშვილით“.

უსჯულოვნება ენით აღუნერელი სისასტიკით ანამეს დედოფალი. გახურებული რვალის ქვაბი დაამხეს თავზე, მარწმუნებით დაუწყველეს მკერდი, გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები და-

ადრეს, ხორცი დააგლიჯეს, ბოლოს გახურებული ბარით შუბლი გაუპეს „და შეირაცხა წმინდა ქალწულთა მონამეთა კრებულთა თანა და მოვიდა სამხლებლად ყოველთა და დაადგა ნათელი. ხოლო მუნ დაესწრნენ ფრანგნი და აღიღეს წმინდანი ნაწილი წმინდისა ქეთევანისანი ფრანგთა და წარიღეს თვისთა თანა ნაწილად, ხოლო ხელი და მკლავი ბატონს თეიმურაზს გამოუგზავნეს“. თეიმურაზ მეფემ „კეთილმსახურებისა-ებრ, ვითარცა მონამესა დღესასწაულითა დიდითა პატივცხად... და ყოვლითურთ სამღვდელით კრებულთა... ვითა შეუწონდა დედასა, დედოფალსა და მეფესა და დააბრძანა წმინდანი იგი ნაწილი ეკლესიას – მთავარმონაშისა გიორგისსა ალავერდს, იტყვიან ქვეშე საღმრთოისა ტრაპეზისა“.

დედოფალ ქეთევანთან ერთად მონაშენებლად აღესრულნენ ქეთევანის თანმხლები მღვდლები: ვასილი, რომელიც „ღირს იქმნა მონაშისა ღვანთათა, რამეთუ მანცა ქრისტესთვის მიიღო აღსასრული ცეცხლისა მიერ“ და მოსე, რომელიც ქვაბისა და დაშვების ცემით განგმირული ნაკუნ-ნაკუნებდა აჩვენეს.

საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღე 13 სექტემბერი (ახალი სტილით 26 სექტემბერი) დადგინდა.

მოამზადა ია მიხეილ შვილია
წყარო: „ქართველ წმინდათა ცხოვრება“, თბილისი, 2007წ;



პირველი ოქტომბრიდან პოლიეთილენის პარკების მოხმარება იკრძალება

გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით, 15 მიკრონზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია 2018 წლის 1 ოქტომბრიდან იკრძალება.

პოლიეთილენის პარკების მოხმარება გლობალური მასშტაბის პრობლემას წარმოადგენს. მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში, საგრძნობლად გაიზარდა პლასტიკისგან დაზარალებული შესაფუთი მასალის მოხმარება.

აღინიშნული ფაქტი მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის გარემოს, რომელიც ყველაზე მეტად სწორედ პლასტიკისგან დაზარალებული პროდუქტით, განსაკუთრებით ერთჯერადი პარკებით ბინძურდება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოლიეთილენის პარკი, თავისი ქიმიური შემადგენლობიდან გამომდინარე არ ექვემდებარება ბიოლოგიურ დეგრადაციას, ხოლო მის დაშლას 100 წელზე მეტი სჭირდება.

პოლიეთილენის პარკები, ერთჯერადად მოხმარებისთანავე, გადაიქცევა ნარჩენად, ხედავს გარემოში და საბოლოოდ ინევეს გარემოს (ნიადაგის/წყლის) დაბინძურებას.

პლასტიკის ნაწარმის მოხმარების ზრდასთან ერთად, პრობლემის მასშტაბები მუდმივად მზარდა. არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ პლასტიკის ნარჩენების სრული გადამუშავება ვერ ხდება.

საქართველოს მთავრობამ, ახალი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს, გარემოს დაბინძურების შემცირებას და ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ინიციატივების წახალისებას, მიიღო რეგულაცია, რომლის მიხედვითაც: 2018 წლის 1 ოქტომბრიდან, იკრძალება 15 მიკრონზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

2019 წლის პირველი აპრილიდან კი აიკრძალება ნებისმიერი სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია. დაშვებული იქნება ნებისმიერი სისქის მხოლოდ ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

როგორი იქნება და რა ელირება ბიოპარკები

პოლიეთილენის პარკებთან შედარებით ბიოპარკების შექმნა შედარებით ძვირი ელირება. როგორც ცნობილია, 1-ელი ოქტომბრიდან ერთჯერადი პარკების მოხმარება ეტაპობრივად იკრძალება, რის ფარგლებშიც პლასტიკის პარკები სწორედ ბიოდეგრადირებადი პარკებით ჩანაცვლდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის უფროსმა ალევრდ ჩარქელაიანმა განაცხადა, ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოება შედარებით უფრო ძვირია და „გარკვეულწილად ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ფასის ზრდას“. ამის პარალელურად, ჩარქელაიანმა იმ საფრთხეებზე გაამახვილა ყურადღება, რასაც პოლიეთილენის პარკები იწვევს.

„ეს გლობალური საკითხია. პლასტიკის ნარჩენებმა ძალიან სერიოზული საფრთხე შეუქმნა ეკოსისტემებს, ეკოლოგიასა და ადამიანის ჯანმრთელობას. ის ფაქტობრივად, ყველა ცოცხალ ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნებში შესაბამისი ღონისძიებები ხორციელდება და მათ შორის, საქართველოშიც გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. ეს არის პლასტიკის პარკების ბაზარზე განთავსების შეზღუდვა. პლასტიკის პარკი გარემოში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ იშლება. მას ცხოველები ხშირ შემთხვევაში იყენებენ საკვებად და არსებობს სხვადასხვა მონაცემები იმის შესახებ, რომ ასეულობით მილიონი ცხოველი იღუპება პლასტიკის პარკებისგან. პლასტიკის პარკი დაშლის შემთხვევაში, ჯერ კიდევ შეიცავს სხვადასხვა საშიშ ნივთიერებებს. ძალიან რთულია მისი გადამუშავება, ძალიან სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული“, – განაცხადა ჩარქელაიანმა.

მისივე თქმით, პოლიეთილენის პარკების ბიოდეგრადირებადი პარკებით ჩანაცვლება ფასის ზრდას გამოიწვევს, თუმცა ეს მნიშვნელოვანი არ იქნება.

„ჩანაცვლება უნდა მოხდეს ბიოდეგრადირებადი პარკებით, რომელიც ბუნებაში სრულად და სწრაფად იშლება და იმ პრობლემებს არ წარმოქმნის, რასაც პლასტიკის პარკები. როდესაც საუბარია ბიოდეგრადირებადი პარკებზე, მისი წარმოება შედარებით უფრო ძვირია და გარკვეულწილად ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ფასის ზრდას, მაგრამ პლასტიკის პარკის ზიანი იმდენად მაღალია, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ეკოლოგიისა და ადამიანის ჯანმრთელობის სასარგებლოდ“, –

შეგახსენებთ, რომ 1-ელი ოქტომბრიდან ერთჯერადი პარკების მოხმარება ეტაპობრივად აიკრძალება.



საშემოდგომო კულტურების წარმოების ინტენსიური ტექნოლოგია

„ინტენსიური“ ლათინური (ინტენსი) სიტყვაა და ნიშნავს გაძლიერებულს. მიწათმოქმედებაში კი ეს ტერმინი გულისხმობს ყველა საუკეთესო და ეფექტური საშუალებების (ინტენსიური ტიპის ჯიშები და ჰიბრიდები, ენერგოდამზოგი ტექნიკის, თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მიღწევების და სხვათა) წარმოებაში გამოყენებას, ანუ სოფლის მეურნეობაში იმ მეცნიერებატექნიკური და ენერგოდამზოგი აგროტექნოლოგიების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფენ კულტურის ბიოლოგიური პოტენციალის სრულყოფილ გამოყენებას.

ამასთან, ამ ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებული პროდუქცია უნდა იყოს ეკოლოგიურად უსაფრთხო და ბაზარზე კონკურენტუნარიანი.

მემცენარეობაში ტექნოლოგია ნიშნავს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა გამოყენებით ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მოვლა-მოყვანა დანაწილებული ნიადაგის დამუშავებიდან და თესვის მომზადებამდე, მოსავლის აღებითა და პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული.

ინტენსიური ტექნოლოგიის ფაქტორები

ინტენსიური ტექნოლოგიის წარმატებით გამოყენებისათვის აუცილებლად საფუძვლიანად უნდა ვერცხვოდეთ მცენარის ბიოლოგიურ და სამეურნეო თავისებურებებში, იმისათვის რომ შეგვეძლოს მისი მართვა ე.ი უნდა ვიცოდეთ რატომ, როდის და როგორ უნდა გამოვიყენოთ ესა

5. თესვის ვადების ზუსტი დადგენა და მისი მკაცრად დაცვა ცალკეული ზონის მიხედვით, ვინაიდან საშემოდგომო ხორბლის ოპტიმალურ ვადაზე ადრე თესვა იწვევს ძლიერ ბარტყობას, მავნებლებისა და დაავადებებისადმი ხელსაყრელი პირობების შექმნას და ცუდად გადაზამთრებას. დაგვიანებული თესვისას კი პირიქით: მცენარის ფესვთა სისტემა სუსტად ვითარდება, ცუდად ბარტყობს, მცენარე კინდება და უჭირს გადაზამთრება, ყოველივე ეს კი საბოლოო ჯამში აქვეითებს მოსავლენობას;

6. მცენარის ზრდა-განვითარების მართვა რაც მიიღწევა მკარო და მკრო სასუქებით და ამჟამად არსებული ფართოსპექტრული ზრდის სტიმულატორების გამოყენებით მხოლოდ მცენარეთა ორგანოგენეზის ზუსტი ცოდნის საფუძველზე, ანუ მცენარეთა ბიოლოგიური კონტროლის ზუსტად ცოდნის გამოყენებით;

7. მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემების გამოყენება. მცენარისა და პათოგენების ზრდა-განვითარების ფაზებისა და ეტაპების შეუღლებით;

8. მოსავლის აღების დანაწილება და ხანგრძლივობის წინასწარი განსაზღვრა, ვინაიდან მოსავლის, როგორც ნაადრევად აღება, ისე დაგვიანება იწვევს როგორც მარცვლის სერიოზულ დანაკარგებს, ისე ხარისხის დაქვეითებას;

9. მიღებული მოსავლის ხარისხის კონტროლი და მისი დაბინავება-რეალიზაცია.

იმისათვის, რომ პრაქტიკულად განვახორციელოთ ამა თუ იმ კულტურის ინტენსიური ტექნოლოგიით წარმოება, მინდორში გასვლამდე აუცილებელია ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები: უნდა შედგეს მინდორის პასპორტი, რომელშიც მოცემულია ნიადაგის ძირითადი აგროქიმიური მაჩვენებლები (აზოტის, ფოსფორის, კალიუმის, მიკროელემენტების, ნიადაგის სხნარის რეაქცია - pH) და ფიტოსანიტარული მდგომარეობა (დასარეგულირება, დაავადებები, მავნებლები, მღრღნელები და ა.შ.). ამ მონაცემების საფუძველზე დგება მოცემულ ფართობებზე განსახორციელებელი ღონისძიებების შესაბამისი ვადების ჩვენებით და რეალურ განხორციელებაზე წესდება სათანადო კონტროლი.

მაღალი მოსავლის მისაღებად

ინტენსიური ტექნოლოგიის ძირითადი მიზანია წინასწარ დადგენილი ცალკეული ნაკვეთებიდან მოსალოდნელი მოსავლის რაოდენობა. ამისათვის კი აუცილებელია სრულყოფილად ვიცოდეთ იმ ზონის ნიადაგური და კლიმატური პირობების თავისებურებებს, სადაც ვანარმოებთ ხორბლის თესვა-მოყვანას. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ მოცემულ ზონაში რამდენად იქნება მცენარე მისთვის აუცილებელი სასიცოცხლო ელემენტებით მომარაგებული. კერძოდ სინათლით, სითბოთი, ტენით, მინერალურით და სხვა.

სინათლე და სითბო - კოსმოსური ფაქტორებია და მათი რეგულირება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ საშემოდგომო ხორბლის ყველა მწარმოებელმა



ინტენსიური ტექნოლოგიის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს აგრეთვე ნიადაგის რაციონალურად გამოყენება, მისი ნაყოფიერების თანდათანობითი ამინდება და შენარჩუნება, რაც საშუალებას იძლევა უკეთესად ვმართოთ სასოფლო-სამეურნეო მცენარის ზრდა-განვითარების მთლიანი ციკლი ონთოგენეზის ყველა ეტაპზე.

ინტენსიური ტექნოლოგიის ძირითადი თავისებურებაა მეცნიერულად ღრმად გაანალიზოთ მცენარის განვითარების ის ეტაპები, რომლებზეც ხორციელდება მოსავლიანობის გამაპირობებელი ელემენტების (პროდუქტიული ბარტყობა, თავთავის მოცულობა, მარცვლის შევსება და ა.შ.) ჩამოყალიბება.

ინტენსიური ტექნოლოგია საჭიროებს სრულყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, წარმოების ორგანიზაციის მაღალ დონეს და მკაცრ ტექნოლოგიურ დისციპლინას. ეს ტექნოლოგია მამინა მაღალეფექტური, როცა ნებისმიერი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ოპერაცია სრულდება დროულად და მაღალხარისხივად წინასწარ შედგენილი ტექნოლოგიური რუკით.

თუ ის აგროლონისძიება ზონებისა და ჯიშის მიხედვით.

განვიხილოთ ეს ფაქტორები სამემოდგომო ხორბლის მაგალითზე:

1. ჯიშის შერჩევა, მისი ვარგისიანობა ინტენსიური ტექნოლოგიისათვის, მაღალ აგროფონზე მისი რეაგირების დონე, განვითარების უკუგების შესაძლებლობა და სხვა მრავალი ნიუანსი;

2. სათესლე მასალისადმი წაყენებული მოთხოვნები: თესლი უნდა იყოს მხოლოდ პირველი კლასის, აღმოცენების უნარი არანაკლები - 95% და ზრდის ძალა არა ნაკლები - 80%. 1000 მარცვლის მასა არანაკლები - 40 გ. რაც შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ სათესლი ნორმა;

3. ზონისათვის შესაბამისი თესლობრუნვა, რაც უზრუნველყოფს ხორბლისათვის ყოველთვის საუკეთესო წინამორბედის შერჩევას;

4. ნიადაგის მაღალხარისხივად დამუშავება, ნიადაგის დამუშავებით მისი კომპოზიციის (1-5 სმ) სტრუქტურის შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს მცენარეს მთელი ვეგეტაციის პერიოდში ნიადაგის ტენითა და ჰაერაციით;



ჯანმრთელობა, ეს არის ორგანიზმის ნორმალური მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმის სტრუქტურები და მათი ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს და ორგანიზმის მარეგულირებელი სისტემები ძალმოსილი არიან შეინარჩუნონ ორგანიზმის შინაგანი გარემოს მუდმივობა ანუ ჰომეოსტაზი. ამ უმთავრეს ზემო ხსენებულს კი განაპირობებს სწორი კვება. კვება ხომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ჯანმრთელობის შენარჩუნების, ადამიანის ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისათვის. ამრიგად, კვება ორგანიზმის მიერ საკვები ნივთიერებების მიღების, მონელების, შენთვისა და

ათვისების რთული პროცესია, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ენერგეტიკული დანახარჯის აღსადგენად, უჯრედებისა და ქსოვილების განახლებისა და მათი ფუნქციის რეგულაციისთვის. ამიტომ ორგანიზმმა უნდა მიიღოს აუცილებელი საკვები ოპტიმალური რაოდენობით, საჭირო დროს. სწორი რაციონალური კვება ორგანიზმის ყველა სისტემის ნორმალური ფუნქციონის საწინააღმდეგოა. ორგანიზმისთვის საჭირო ენერგია სწორედ, რომ საკვებიდან მოდის, თუმცა ძნელია დღეს იპოვო სრულიად ჯანსაღი საკვები, ვინაიდან ამა თუ იმ პროდუქტის ფართო მოხმარებამ კომერციული თვალსაზრისით,



იცის, რომ მზის ფიზიოლოგიურად აქტიური რადიაცია (ანუ ფარი) და სითბო სრულიად საკმარისია ამ კულტურის მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

ამისათვის აუცილებელია მისი პრაქტიკულად გამოყენების ცოდნა. ამიტომაც რომ ინტენსიური ტექნოლოგია მოითხოვს თანამედროვე აგრორული მეცნიერების ცოდნას, რაც დღის წესრიგში აყენებს მკორე თუ მსხვილი ფერმერებისათვის ახალ აგრონომიულ აზროვნებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ასევე აუცილებელია ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლება, რადგანაც უკანასკნელ პერიოდში შემოდის საბჭოთა ტექნიკისგან განსხვავებული მანქანა-იარაღები, მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა ჩატარებისათვის განკუთვნილი მონოპოლიზები.

ფერმერსა და ნებისმიერ მეურნეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ თანამედროვე ეტაპზე მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღება ჯერჯერობით ძალიან რთულია, მინერალური სასუქებისა და მაღალეფექტური პესტიციდების გამოყენების გარეშე. ამასთან, აუცილებლად უნდა იცოდეს ისიც, რომ მათ უპასუხისმგებლად გამოყენებას სარგებელთან ერთად გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს - აუარესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას, ანაგვიანებს ბუნებას და გარდაუვალ საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას.

ცხადია ერთ სტატიაში და ერთეულ რაღაც საუბრით შეუძლებელია ყველა იმ საკითხის სრულყოფილად გადმოცემა, რომელთა განხორციელებას ან არ განხორციელებას რა რეალური შედეგები ახლავს. ამის საღიუსტრაციოდ მხოლოდ ერთი პარამეტრი კი კმარა, რომელიც ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ინტენსიური ტექნოლოგიის წესიერად გამოყენების ეფექტურობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიური მინათომქმედების პარამეტრების დაცვა და მათი პრაქტიკული განხორციელება განსაკუთრებულ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული და არც დიდ სირთულეს წარმოადგენს, დღევანდელ ფერმერთა უმრავლესობა არ იყენებს თავიანთ პრაქტიკულ საკმარისობაში, რადგან ერთ სეზონზე ნაკვეთის დასვენებაც კი სარისკო

საქმედ მიაჩნიათ და ზარალად მიიჩნევენ. მონოკულტურა დომინირებს ორ და მეტ სავეგეტაციო პერიოდში ერთსა და იმავე ნაკვეთზე (ხორბალს თესვენ). ამას აკეთებენ როგორც წერილი, ისე მსხვილი ფერმერები. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

გასული საუკუნის ბოლო წლებში ჩვენ საკონსულტაციო მომსახურებას ვუწვევდით საქართველოს მთიან რაიონებს მათი ნაკვეთების რაციონალურად გამოყენების მიმართულებით (ზემო აჭარაში, ზემო სვანეთში, ზემო რაჭაში, სამხრეთ საქართველოში). თითქმის ყველა ნაკვეთზე ყოველ წელიწადს დომინირებს ნანერალური სხვა კულტურის თუნდაც ნაკვეთის ნახევარ ფართობზე დათესვა მინის გაცდენის ტოლფასად მიაჩნდათ. ასეთი ტექნიკა შეიძლება ბარის რაიონებშიც ხორბლის კულტურის თესვასთან დაკავშირებით.

მთიან რეგიონებში ფერმერთა ასეთი სივრცითი შეზღუდვა ნაწილობრივ მართალია მათი მცირემინიანობის გამო, მაგრამ ბარის ისეთ რეგიონებში როგორცაა კახეთისა და ქართლის რაიონები, მინის ფართობების ასეთი ცალმხრივი გამოყენება შედეგობა და დანაშაულის ტოლფასია.

ყოველად დამუშავებული ნანერალზე საშემოდგომო ხორბლის ორ სავეგეტაციო პერიოდში ზედინედ თესვა. მინათომქმედების ასეთ წესს, რა უარყოფითი სამეურნეო შედეგებიც მოაქვს საყოველთაოდ ცნობილია. პირველ რიგში ქვეითდება მოსავლიანობა და უარესდება მარცვლის ხარისხი, დიდი ზიანი ადგება უშუალოდ ნიადაგს, ჩქარდება ქარებით მისი გამოფიტვა და ხდება უნაყოფო, უარესდება ფიტოსანიტარული მდგომარეობა, ხდება ეროზიის ხელშეწყობა და უარესდება საერთო ეკოლოგიურ მდგომარეობა.

ამიტომ, როგორც წესი აუცილებელია დიდ ფართობებზე თესლობრუნების დანერგვა, უკიდურეს შემთხვევაში კულტურების მიხედვით ნაკვეთმორიგობის დაცვა. ამა თუ იმ კულტურებისათვის შესაბამისი წინამორბედის სწორად შერჩევა, არამარტო ზრდის მოსავლიანობას, არამედ აუმჯობესებს მოსავლის ხარისხს.

სამ მეცნიერებათა დოქტორი
თინათინ დარსაველიძე
agrokavkaz.ge

როგორ გამოვძევნოთ ზოსტნეულიდან ქიმიკატები

გაზარდა მასში ქიმიკატების - ნიტრატებისა და პესტიციდების დონე.

სწორედ დადგინდული სტატიაში მინდა მოგვცეთ აუცილებელი რჩევები, რომლის საშუალებითაც მაქსიმალურად გამოვდევნოთ ამა თუ იმ ხილსა და ბოსტნეულიდან ორგანიზმისთვის მავნე ქიმიკატებს. (ამ ნაწილში წარმოგიდგინებ რჩევებს ბოსტნეულზე).

1. კომპოსტო. ერთ-ერთი საჭირო ზოსტნეულია სამზარეულოში, რომელიც შეიცავს ძალიან დიდი რაოდენობით ცილებს, ერთი სიტყვით კი ის ცილების წყაროა. კომპოსტო აუცილებელია თირკმელების სწორი მუშაობისათვის, ფარისებრი ჯირკვლისა და სისხლისთვის. მდიდარია ვიტამინით, რომლის წყალბოთაც შეუძლია მოაშუშოს კუჭისა და თორმეტკოვლა ნაწლავის წყალული, წყალბოთიანი კოლიტი, გასტრიტი და ნაწლავების დაავადებები. ასევე მდიდარია C, E, B1, B2, B3, P, PP და H ვიტამინებით, რაც ხელს უწყობს სისხლის შედგენას, ჭრილობის დროულად შეხორცებას, ძვლების ფორმირებასა და კბილების სივანსაღეს. თუმცა ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მისმა ფართო გამოყენებამ საგრძობლად გაზარდა მასში შემავალი ნიტრატების რაოდენობა, რაც საზიანო იქნება ორგანიზმისთვის. ამიტომ, კომპოსტის გამოყენების წინ გარეთა ფურცლები (3-4ცალი) შემოაცალეთ და არ

გამოიყენოთ და ასევე ღრმად ამოაჭერთ მთელი შიგთავსი გული და გადაადგეთ, რადგან მათში უფრო მეტია ნიტრატების შემცველობა. ასევე კარგი იქნება თუ გამოყენებამდე გამდინარე წყლის ქვეშ კარგად გარეცხავთ.

2. კარტოფილი. ის პრაქტიკულად ყველა ამინომოყვანს, ფოსფორს, კალიუმს, ჩ ვიტამინს შეიცავს. სასარგებლოა თირკმლისა და გულის დაავადებების დროს, ასევე მისი ხშირი მიღება ხელს უწყობს ქოლესტერინის შემცირებას ღვიძლში და ორგანიზმის ზედმეტი წყლის შენთვას. ეხმარება ორგანიზმებს სიმსივნის დათრგუნვაში. უმაღლეს სასარგებლოა ათეროსკლეროზის, გულმძარვის, შეკრულობისა და გასტრიტის დროს. თუმცა ამ სარგებელთან ერთად, დღევანდელი კარტოფილის კანი და გული უხვადაა გაჯერებული ნიტრატებითა და სხვა ქიმიკატებით, რაც ცხადია მავნებელია ჩვენი ორგანიზმისთვის, ამიტომ კარგი იქნება თუ კარტოფილს გავფეცქვით, ნამოვა-დღეღამე სუფთა წყალში, გადავვლოთ ამ წყალს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიყენებთ საკვებად.

3. ყაბაყი, კიტრი და ბადრიჯანი. ყაბაყი შეიცავს ცილებს, ნახშირწყლებს, შაქარს, ვიტამინ C-ს. მისი პირველი რეკომენდებულია ათეროსკლეროზისა და ყაბაყის, გასტრიტისას (კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებისას). საკმაო

რაოდენობით შეიცავს რკინას. კარგია ანემიის, სისხლის შედგენის დაქვეითების დროს. დიდი რაოდენობით შეიცავს კალიუმის მარილებს, ამიტომ სასარგებლოა ჰიპერტონული და გულის დაავადებების დროს.

კიტრი შეიცავს ნახშირწყლებს, მინერალურ და აზოტოვან ნივთიერებებს, შედის ა, კალიუმი. მარდამდენია და საუკეთესო საშუალებაა მარდმდენი დაავადებულთათვის. კუჭში შეკრულობის საწინააღმდეგოა. შეიცავს იოდს, ამდენად, კარგია ჩივით დაავადებულთათვის, იოდის შესავსებად. კარგია ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის. საკმაო რაოდენობით შეიცავს თუთიას, რაც აუცილებელია კუჭქვეშა ჯირკვლის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ხელს უშლის თირკმელში მავნე მარილების დაგროვებას. მისი წვენი გამოიყენება სახის კანის გასაწმენდად.

ბადრიჯანი მდიდარია კალიუმით, რაც ხელს უწყობს გულის ფუნქციის აღდგენასა და ორგანიზმში მთავრეცხვითა-ნობის ბალანსს. ასევე შეიცავს რკინასა და სპიონენს, შეიცავს ასევე ასკორბინის მჟავასა და ვიტამინის მთელ კომპლექსს. ბუნებრივი ანტიბიოტიკია და ეხმარება ორგანიზმს გაუმკლავდეს სხვადასხვა დაავადებებს.

ილია მეორე: რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ დავკარგავთ ჩვენს შვილებს



„არ შეიძლება, რომ ვუყუროთ მხოლოდ ეკონომიკას. რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ დავკარგავთ ჩვენს შვილებს“, – აცხადებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მარიხუანასთან დაკავშირებით ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებზე.

როგორც პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას განაცხადა, ხელისუფლებამ დიდი პასუხისმგებლობით უნდა შეხედოს აღნიშნულ პროცესს. „ის უნდა გავხსოვდეს, რომ ეს საშიშია, რადგან სხვა ქვეყნიდან ნარკომანები ჩამოვლენ აქ და ისარგებლებენ ამ თავისუფლებით. ამით უფრო გავრცელდება ნარკომანია საქართველოში.“

ამიტომ მინდა ვთხოვო ხელისუფლებას, რომ დიდი პასუხისმგებლობით უნდა შეხედონ ამას. არ შეიძლება, რომ ვუყუროთ მხოლოდ ეკონომიკას, რომ ეკონომიკურად შემოსავალი ექნება ქვეყანას, რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ დავკარგავთ ჩვენს შვილებს. იმედოვნებ, რომ ჩვენ გავერთიანდებით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეკლესია, ხალხი, ხელისუფლება გაერთიანდეს და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს ეს დაავადებული ხალხი. ღმერთმა მოგვცეთ მადლი. ღმერთმა მისცეს მადლი საქართველოს და ყოველ ადამიანს, რომელიც შეპყრობილია ამ სენით. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, გავიმარჯვოთ ჩვენს თავზე. მე კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ჩვენ უფრო გვიყვარს სამშობლო და ჩვენი ხალხი, ვიდრე ხელისუფლებას, იმით არანაკლებად უყვარს, არანაკლებად სტკივა გული. იმედია, რომ ჩვენ დავეძლეეთ ამ სენს. უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს. უფალმა აკურთხოვს ერი თვისი, მშვიდობით“, – განაცხადა პატრიარქმა.



როგორ გამოვძევოთ ბოსტნეულიდან ქიმიკატები

დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

ეს რაც შეეხება მათ სარგებლიანობას, ხოლო მათი შექმნის დროს ყურადღება უნდა მიაქციოთ შემდეგს: ბუნებრივად სასარგებლო კიტრი უნდა იყოს სალათისფერი, ღია მწვანე შეფერილობის, თუ ის მუქი მწვანეა, ეი უხედაა მასში ნიტრატები. ბადრიჯანს და ყაბაყს სამწუხაროდ ფერის მიხედვით ვერ განვსაზღვრავთ რამდენად სასარგებლოა, ამიტომ გამოყენების წინ კარგად მოაჭერით თავი და ბოლო, ვინაიდან ნიტრატები უხვი რაოდენობით სწორედ მის დაბოლოებებშია. გარეცხვით გამწვანებულ წყლის ქვეშ.

4. სალათის ფურცელი, ოხრახუმი, კამა და სხვა მწვანეებია.

სალათის ფურცლის მიღება დადებითად მოქმედებს კუჭნაწლავის სისტემაზე, სასარგებლოა ათეროსკლეროზის დროს, მწყობრში მოჰყავს ნერვული სისტემა, ხსნის მუდმივ გონებრივ დაძაბულობას და აუმჯობესებს მეხსიერებას. ეფექტურია უძილობის დროს. კვლევებმა დაადასტურა, რომ ამ ტიპის მცენარე ეხმარება მშვენიერი სუნის ნარკომადგენლებს ძუძუს კიბოს რისკის შემცირებაში.

კამა ჩ ვიტამინს, კალიუმსა და საკმაოდ ბევრ რკინას შეიცავს, ამიტომ ძალიან კარგია ანემიის დროს. კამა სასარგებლოა კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციის სხვადასხვა დარღვევისას. ამიტომ არის, რომ ჩვილებს მუცლის შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად კამის წყალს უნიშნავენ. ამავე მიზნით კამის წყალი შეიძლება ბავშვებმა და მოზრდილებმაც მიირთვან. კამას იყენებენ გულის რიტმის დარღვევის, ჰიპერტონული დაავადების სამკურნალოდ და ათეროსკლეროზული პროცესების შესაფერხებლად.

ოხრახუმის ფოთლებში კალციუმი, რკინა, ფოსფორი გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ბოსტნეულში. გარდა ამისა, ოხრახუმი ჩ ვიტამინის უხვი შემცველობით გამოირჩევა. ასკორბინის მჟავა მასში სამჯერ მეტია, ვიდრე ღიმინში. ოხრახუმი კალიუმსა და ნატრიუმსაც შეიცავს, ამიტომ განსაკუთრებით მათთვისაა სასარგებლო, ვისაც გულის, თირკმელების, შარდის ბუშტის პათოლოგიები აწუხებს. მამაკაცების საყურადღებოდ: სატრფოსთან შეხედრის წინ ეს მწვანელი უხედა უნდა მიირთვათ – მეცნიერებმა მასში ერეცხვის გამახანგრძლივებელი ნივთიერებები აღმოაჩინეს.

და ზოგადად სხვა ნებისმიერ მწვანე ნივთიერებაში და სასარგებლო პროცესები გაცილებით მეტია, ვიდრე ბოსტნეულში. თუმცა აქაც ნიტრატებისა და სხვა ქიმიკატების პრობლემა და მწვანეებში გაცილებით მეტად ვინაიდან მწვანეების ღეროვან უჯრედებში მათი დიდი ნაწილი ღრმად და კარგად ჯდება,

ამიტომ გამოყენებამდე 1 საათზე მეტ ხანს გარეცხვით გამწვანებულ წყლის ქვეშ.

5. პომიდორი. შეიცავს გლუკოზას, ფრუქტოზას, კალიუმის მარილებს, მაგნიუმს და რკინას. იცავს საკვებრეცხვას და სარძევე ჯირკვლებს კიბოს განვითარებისგან. გამოიყენება შარდ-სასქესო, ათეროსკლეროზის, კუჭ-ნაწლავის, გულის, ღვიძლისა და სისხლძარღვების დაავადებების დროს. თუმცა რაც უფრო სქელი აქვს კანი პომიდორს, მით უფრო ქიმიურია და არასოდეს იყიდეთ პომიდორი, რომლის შეფერილობა ნითელ-ნარინჯისფერია. თუ პომიდორის რბილობი მოთეთრო ფერისაა და შიგნიდან ღეროვანია, ეს არის სიგნალი იმისა, რომ მასში უხედაა ნიტრატები. ამიტომ, შემთხვევით თუ ასეთი გამოგადგათ ნაყიდი პომიდორი, 1 საათის განმავლობაში გააჩერეთ ჩვეულებრივ ცივ წყალში, რათა ნაწილობრივ მაინც გამოდევნოთ მასში შემავალი ქიმიკატები.

6. ჭარხალი, სტაფილო და ბოლოკი.

სტაფილო შეიცავს ვიტამინებს – A, B1, B2, C, E1, P, კალციუმს, იოდს, Na, რკინას, დიდი რაოდენობით კაროტინს. მიიღება დეიტეინის დროსაც. შეგიძლიათ მიირთვათ 2-3 ცალი საშუალო ზომის სტაფილო ორგანიზმის განწმენდისთვის. ის, ანაბროსად, ხელს უშლის ორგანიზმში სოკოს სპორების გამრავლებას. სადილში უმჯობესია ჩაემატოს ხარშის დასრულებამდე, 10 წუთით ადრე.

ჭარხალი შეიცავს A და B ვიტამინებს და დიდი რაოდენობით შაქარს. მის მიღებას დიაბეტთან პაციენტებს არ ურჩევენ. კარგია ათეროსკლეროზის, მალა-ნი წნევის სამკურნალოდ. სასარგებლოა დაბალი გემოგლობინის დროსაც. მისი ფოთლები კარგია გულის მუშაობისთვის. ასევე შარდმდენია.

ბოლოკი შეიცავს ფერმენტებს, მინერალურ ნივთიერებებს, მარილებს – კალციუმს, Na, Ca, Mg, Fe, დიდი რაოდენობით პურინულ ნივთიერებებს. ამიტომ, თუ ადამიანი დაავადებულია წყლულით, გასტრიტით, ფლარაითით, პოდაგრით, ღვიძლისა და თირკმლის დაავადებებით, მისი მიღებისას სიფრთხილე გემატება. კარგი ამოსახველელები საშუალებაა თავლთან ან შაქართან ერთად. აქვს ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება და საუკეთესოა კუჭის შეკრულობისას.

ამ ბოსტნეულის ფესვებში უხედაა ნიტრატი. ამიტომ გამოყენებამდე კარგად მოაჭერით ძირი და ეცადეთ მოლუნული ფორმის (კუდიანი) არ შეიძინოთ არცერთი მათგანი. კარგი იქნება თუ სტაფილოს ძირს 1 სმ-ით მოაჭერთ, ხოლო თუ მეტ ნაწილზე ახლავს მწვანე შეფერილობა, მაშინ ის მთლიანად მოკვეთეთ, ვინაიდან სწორედ მწვანე შეფერილობა დასტურით იმისა, რომ მასში ქიმიკატებია.

ლიტერატურული კონკურსი „კოეტური რთველი 2018“

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ყვარლის ორგანიზაცია, საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად, ყვარლის მუნიციპალიტეტში აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს – „კოეტური რთველი 2018“. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ვთხოვთ, მოგვანოდონ ლექსები 2 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, ყვარლის კულტურის სახლში. კონკურსში გამოვლინდება სამი გამარჯვებული ლექსი. გამარჯვებული ავტორების დაჯილდოება მოხდება ნოემბრის პირველ ნახევარში. კონკურსის მხარდამჭერები არიან, გაზეთი „ყვარელი“ და ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი.

ტელ: 577968031



ყველასთვის საყვარელი ადამიანი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მწუხარებით იწყება, რომ გარდაიცვალა ქ.ყვარლის კოლორიტი, გამორჩეული პიროვნება, მწერალი და უბრალოდ კარგი ადამიანი, ბატონი ირაკლი მირზიკაშვილი. მან ხანდაზმულობის ასაკში აქტიური მოღვაწეობა გააგრძელა და ყოველთვის იღებდა მონაწილეობას სოციალური ცენტრის კულტურულ ღონისძიებებში. ბატონ ირაკლის, ქ.ყვარლის ყველა მოქალაქე იცნობდა, ის გამოირჩეოდა, როგორც ერთ-ერთი ინტელიგენტი, ქველმოქმედი, ყველასთვის საყვარელი ადამიანი. ბატონი ირაკლი, ხშირად ქმნიდა სიმღერებს სხვადასხვა პოეტების ლექსებზე და შემდეგ ასრულებდა მას ცენტრის მომღერალ ბენეფიციართა გუნდთან ერთად. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, უსამძიმრებს ბატონი ირაკლის ოჯახს და ახოხელ ადამიანებს. ბატონი ირაკლი, უფალმა დაგიმკვიდროთ სამარადისო სასუფეველი!



საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის ფილიალი

„მე არც ერთ კილოს არ ვწუნოვ, თუა ქართული გვარისა“

ამ წერილს შემთხვევით არ წარვუძღვარე ეპირგაფად ვაჟას სიტყვები. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ დამიანის პიროვნება ფასდებოდეს პარტიულობის ნიშნით. დღეს ჩვენს ქვეყანას ერისშვილები სჭირდება. სამწუხაროდ, ასეთი პოლიტიკაში იშვიათად მოდიან, სადღაც ჩრდილქვეშ დგანან და იქიდან ადევნებენ თვალს თავიანთ ქვეყანას. ამისი დრო არ არის. ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მომავალი თაობის გადასარჩენად.

ჯერ ეკოლოგიურმა საფრთხემ განადგურა ადამიანების ჯანმრთელობა. ახლა კანაფის მოყვანა და მარიხუანას ფაბრიკების გახსნა მოსდომებით გამოდრების მიზნით შეპყრობილ იმ ადამიანებს, რომელთაც ყველაფერზე მიუწ-

ვდებათ ხელი. ხალხის აზრი არავის აინტერესებს, მითუმეტეს – პერიფერიებში მცხოვრებთა. ვიცი, რაც არ უნდა ვთქვათ და ვწეროთ, ჩვენი სიტყვები დარჩება „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

საფლავში კენესის და მოსთქვამს ილიას მოხვევ ლელთ-ლუნია: „ადრიდა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის... ადრიდა „ქალაი ქალობდის, ვაჟაი ვაჟობდის, ერი ერობდის“... რატომ ვივინყებთ ჩვენს ღირსეულ ტრადიციებს და ევროპიდან მხოლოდ უარყოფითი რაბათი გამოგვაქვს? თვალში ნაცარს გვაყრინ, ყველაფერი მკაცრ კონტროლზე იქნებაო. რა მალე დაგავინდათ ქართველის ბუნება. ხელი ვისაც მოუხვდება მარიხუანაზე, ის საქართველოშივე დაინყებს მის რეალზაციას.

გაბრუნებული ახალგაზრდობა კი ადვილი სამართავი გახდება.

მასოსეს, დედები შარვლის ჯიბის პირებს უკერავდნენ შვილებს, რათა პოლიციელებს მათთვის ჩუმად ნარკოტიკები არ ჩაედოთ. არ გვინდა ქვეყნის ბიუჯეტის გამდიდრება ამ გზით. რამდენიმე წლის წინ პრესაში ამოვიკითხე გამწარებული დედის სიტყვები. ვთავაზობთ ნაწყვეტს ამ სტატიიდან: „გაორება მკლავს. გულის ერთ ნაწილს ეზიზღება ჩემთვის მიუღებელი წესით მცხოვრები ჩემი შვილი, მეორე ნაწილს კი ისევე დედაპილური დამოკიდებულება აქვს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ეზოში გახსნეს ინტერნეტ-კაფე. ჩემი შვილი, მაშინ, სკოლის მოსწავლე იყო. დღესაც არ ვიცი, ვინ მაჩვია მარიხუანას. შემდეგ გაბრუნებული მიეძალა კომპიუტერსა და ონლაი თამაშებს. ყველაფერი გავყიდე ნაგებული თანხების დასაფარად. ახლა თავშესაფარში ცხოვრობ და დღემდე არ ვიცი, სად არის ჩემი უნიჭიერესი 24 წლის ბიჭი“.

შუქლებელია ადვოკატების გარეშე ნაიკითხო დედის აღსარება.

მინდა ილიას ნაკენარიდან ჩემი აღშფოთებული ხმა შევეუროთ იმ ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან და ცდილობენ ხელი შეუშალონ საქართველოში კანაფის მოყვანასა და მარიხუანას ფაბრიკების გახსნას. ჩვენ პატარა ერი ვართ და არ გვყავს დასაღუპად განწირული შვილები. ხელები შორს ახალგაზრდებისაგან, რომელთაც უჭირთ გაუძლონ ცდუნებას. იმ ადამიანებს კი, ვისაც ცხოვრების აზრად მხოლოდ გამდიდრება მიუჩნევია, მინდა შევასხენო ვაჟას სიტყვები: „წყველა ხალხისა ჭეჭაა, ნაფურთხი დილის ცვარია“. დაე, ასრულდეს უფლის სამართალი და მიეზლოს „კეისარს კეისრისა“.

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი



ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 1024 28 / სექტემბერი / 2018 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვლობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად

გბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).
2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს გივი მუხომბეზის აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.
3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 7 თებერვლის #107 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	სასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ქ. ყვარელი, ილიას ტბის მიმდებარე	5218	-	57.35.52.196	25255	5051	1263	50

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია: მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:


1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სა-მართლოს იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრაციის წარუდგენს:
 - ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუ-ნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შექენაც სურს მონაწილეს;
 - ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);
 - გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563394;
 - დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მონომობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
 - ე) ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
 - ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადს შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამო-ნაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.
4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.
5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქ-ციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.
6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყისი ფასის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;
7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ სა-ბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელ-ლიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.
8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დე-კემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.
9. აუქციონი ტარდება 2018 წლის 31 ოქტომბერს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2018 წლის 2 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1
10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუ-დიგორის ქ. №1-სი მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი № 599 855 993 ; №595 903 322; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

გამოსათხოვარი

ირაკლი მირზიკაშვილი

ირაკლი მირზიკაშვილის გარდაცვა-ლება მოულოდნელი იყო ყველა ყვარლე-ლისთვის. თითქოს ყველაფერი წესრიგში გქონდა ჯანმრთელობის მხრივ, მაგრამ ეს უცნაური სიკვდილი ჩვენთვის, შენი ახ-ლობისთვის დიდად მტკივნეული აღ-მოჩნდა. ხშირ-ხშირად გადაადგილებო-დი ყვარლის ქუჩებში, პატარა ბიზნესით იყავი დაკავებული, ყველას მოიკითხავ-დი, ვინმე გაჭირვებულს ჯიბის ფულსაც გაუნვდიდი, მაგრამ, ვაგლახ, რომ აღარ ხარ. სარეალიზაციოდ გამზადებულ სამ-კურნალო წყალს, რომლითაც რაიონის მოსახლეობას (და არა მარტო რაიონის) ამრავებდი, ამერიიდან აღარ დაეწერე-ბა ირაკლი მირზიკაშვილი. ვწუხვართ, ჩვენო მეგობარო, რომ ამერიიდან ჩვენს გვერდითაც აღარ იქნები. მართალია ყველა წარმავლები ვართ, მაგრამ სი-ცოცხლეში დატოვებული ნათელი კვალი არ ხუნდება, არ ფერმკრთალდება.

დიახ, თამამად ვიტყვით, შენ დატო-ვე ის სიკეთის კვალი, რომელსაც ადამი-ანობა და კეთილშობილება ჰქვია. ჩვენ შენი მეგობრები, სანათესაო არასოდეს დაგივინებთ ჩვენო ირაკლი და ყოველ-თვის იქნები ჩვენს გულში შენი კაი ყმობითა და სიკეთით.



ჩვენო ყვარლის კოლორიტო, „ნითე-ლი ჯვრის“ საზოგადოების თანამშრომ-ლები, მეგობრები და ახლობლები საბო-ლოდ გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელი დაუშკვიდროს შენი სამუდამო სასუფევლს.

მეგობრები

ბადრი ბაჭყალიშვილი ოჯახით იუნყება, რომ გარდაიცვალა ირაკლი მირზიკაშვილი.

მეზობლები: გელა გაგნიძე, ელიზა ფილიშვილი, გიორგი ქე-ბაძე, ანა თამაზოლიშვილი, ბელა ბანილაშვილი, ალბერტ და თამარ ჯავარაშვილები, ნინო ჯუჯუშვილი ღრმა მწუხარებაში თანაუგრძნობენ ზაქრო ბუთიაშვილს მეუღლის (ციური ხატი) შ-ვილის გარდაცვალების გამო.

ბუყან ზურიაშვილი თანაგრძნობას უცხადებს ზაქრო ბუთი-აშვილს მეუღლის ციური ხატი შვილის გარდაცვალების გამო.

როგორ შეიძლება თქვენს ვაქცინაციამ სხვა ადამიანების სიცოცხლე იხსნას

მომაკვინებელ დაავადებებთან საბ-რძოლველად კაცობრიობა უკვე დიდი ხა-ნია იყენებს ვაქცინებს, მაგრამ იცოდით, რომ ადამიანებს ვაქცინაციით ზოგჯერ დაავადებისგან არა მარტო საკუთარი თა-ვის, არამედ სხვისიც შეუძლიათ? გადამდებ დაავადებებს გასაგრცე-ლებლად ადამიანიდან ადამიანზე გადა-დების საშუალება სჭირდებათ. თუმცა რაც უფრო მეტი ინდივიდი იმუნიზებუ-ლი ჯგუფში, მით უფრო იმეათია კონ-ტაქტი იმუნიტეტის არმქონე ადამიანებს შორის და დაავადების გავრცელება ერ-თი დასწრეულებულიდან ჯგუფის სხვა წევრებზე რთულდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმუნიტეტის მქონე ადამიანები აბრკოლებენ დაავადების გავრცელებას და ერთგვარ დამცავ ბარიერებს ქმნიან მათთვის, ვისაც იმუნიტეტი არ გააჩნია. ჯგუფის რაც უფრო დიდი ნაწილია ვაქ-ცინირებული, მით უფრო ნელა ვრცელ-დება ეპიდემია ჯგუფის არავაქცინირე-ბულ წევრებს შორის, ხოლო თუ ჯგუფის ვაქცინირებული წევრების პროცენტული რაოდენობა საკმარისად დიდია, დაავა-დების გავრცელება შესაძლოა სრული-



ად შეუძლებელიც გახდეს. ვაქცინაცია აფერხებს დაავადების გავრცელებას სისწრაფეს, ხოლო თუ მათი რიცხვი 90-95%-ს მიაღწევს, დაავადების გავრცე-ლება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება იმუნიტეტის არმქონე ადამიანებს შორი-საც კი. ამ ეფექტს ჯგუფური იმუნიტეტი ან პოპულაციური იმუნიტეტი ეწოდება.



ცვლილებები და რეგულაციები, რომელიც 1-ლი ოქტომბრიდან ამოქმედდება

მიმდინარე წლის 1-ლი ოქტომბრიდან საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევა ძალაში. „პიზნესპრესნოსი“ 1-ლი ოქტომბრიდან დაგეგმილ რეგულაციებს გთავაზობთ:

ტაქსის ლიცენზირება

1-ელი ოქტომბრიდან ტაქსის სერვისით მომსახურება ლიცენზიის გარეშე იკრძალება. როგორც თბილისის ტაქსის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ირკვევა, ამ დროისთვის დედაქალაქში ტაქსის სერვისით მომსახურების 9 659 ნებართვაა გაცემული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ის ტაქსები, რომელთაც შესაბამისი რეგისტრაცია არ ექნებათ გველილი, 1-ლი ოქტომბრიდან 200 ლარით დაჯარიმდებიან.

ტაქსატაქსის მ-3 ზაზა

1-ლი ოქტომბრიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესაბამის ფაზა ამოქმედდება. კერძოდ, ოქტომბრიდან ინსპექტირება საავტომობილო იქნება ყველა ავტომობილისთვის, რომლის ძრავის მოცულობა 3,000 კუბური სმ ან მეტია. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესის საინფორმაციო ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია ცხელი ხაზი (1484), რომელიც მუშაობს ყოველ სამუშაო დღეს 10:00-დან 18:00 საათამდე. შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 1-ლი იანვრიდან ტექნიკური ინსპექტირება – სამგზავრო და სატვირთო ავტომობილებისთვის, 1-ლი ივლისიდან კი სახელმწიფო უწყებების და იურიდიული პირების კუთვნილებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ამოქმედდა. მთლიანად ავტოსატრანსპორტის კი ტექნიკური ინსპექტირება 2019 წლის 1-ლი იანვრიდან გახდება სავალდებულო.

პოლიტიკის პარკების აპრიალება

1-ლი ოქტომბრიდან პოლიტიკის პარკების წარმოება და რეალიზაცია დასაჯადი ხდება. თავდაპირველად აკრძალვა 15 მიკრონზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკებზე გავრცელებული, უკვე 2019

წლის 1-ლი აპრილიდან კი ნებისმიერი სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია აკრძალვა.

აღსანიშნავია, რომ რეგულირების წესის დარღვევა გამოიწვევს მენარმე სუბიექტის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით. განმეორებით ჩადენილი ქმედება კი მენარმე სუბიექტის დაჯარიმებას 1 000 ლარით გამოიწვევს, ამ შემთხვევაშიც შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით.

პრაქტიკის აღიარება პროცესის გამარტივება

ოქტომბრიდან ფიზიკური პირებისთვის კრედიტის აღების პროცესი მარტივდება. შეგახსენებთ, რომ სესხის გაცემისას, შემოსავლების შემოწმება სავალდებულო ხდება. აქედან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და კომერციულ ბანკებს შორის რეალური დროის რეჟიმში ინფორმაციის მიმოცვლის სისტემა ამოქმედდება, რაც გამარტივებს სესხის აღების პროცესს იმ ფიზიკური პირებისთვის, რომელთაც დეკლარირებული შემოსავლები გააჩნიათ.

სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში, ზემოთ აღწერილი სისტემა, თავად უზრუნველყოფს მომხმარებლის ყოველთვიური დეკლარირებული შემოსავლის შესახებ ინფორმაციის კომერციული ბანკისთვის მიწოდებას. აღნიშნული სქემით გამარტივდება სესხის გაცემის პროცესი და, ამასთანავე, დაიზოგება მსესხებლის დრო და ხარჯები. შედეგად, მომხმარებელი უფრო სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას მიიღებს.

საწყის ეტაპზე პროექტით ისარგებლებენ კომერციული ბანკები, ხოლო სესხის გამცემი სხვა ორგანიზაციების სისტემაში ჩართვა ეტაპობრივად გახორციელდება.

ლიჯალის სანავის ახალი სტანდარტი

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან ევროპულ ნორმებთან დაახლოების მიზნით ლიჯალის სანავის სტანდარტი ამოქმედდება. კერძოდ, სტანდარტმა „ევრო 4“-მდე უნდა აინიოს. უკვე 2020

წელს კი სტანდარტი – „ევრო 5“-მდე აინიოს. აღნიშნული რეგულაცია გულისხმობს გოგირდის შემცველობის შემცირებას იმ სანავებში, რომლის იმპორტირებაც დღეს საქართველოში ხდება.

სავალდებულო აუდიტი


2018 წლის 1 ოქტომბრიდან კომპანიების ნაწილს სავალდებულო აუდიტის განხორციელება მოუწევს. 1-ელ ოქტომბრიდან სავალდებულო აუდიტის ჩატარების ვალდებულება აქვთ: კომპანიებს, რომელთა კომპანიის აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს; შემოსავალი 100 მილიონ ლარს; დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა კი საანგარიშგებო პერიოდში 250-ს აღემატება. ასევე იმ კომპანიებს, რომელთა აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარიდან 50 მილიონ ლარამდე; შემოსავალი 20 მილიონ ლარიდან 100 მილიონ ლარამდე; დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა კი 50-დან 250 ადამიანამდე უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ კომპანიებზე, რომელთაც აუდიტი არ ექნებათ ჩატარებული, ოქტომბრიდან გარკვეული სანქციები ამოქმედდება. პირველ ეტაპზე გაფრთხილება, ხოლო შემდეგ – ჯარიმა.

რეაქტიური საქმიანობის პროფილის მითითება

აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში კომპანიის საქმიანობის პროფილის მითითების ვადა იწურება. საუბარია, მიმეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მაგნე და სამომხრობებიან საშუაობების განმარტოვებულ კომპანიებზე. ამ ტიპის საშუაობების განმარტოვებულ კომპანიებზე ვალდებულები იყვნენ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე დაიკრავისტირებინათ შესაბამისი საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, თუმცა, ამ ვადას ოქტომბრის ბოლომდე გადაინია. შესაბამისად, რეგისტრაციისთვის კომპანიებს კიდევ 1 თვე აქვთ. ხოლო უკვე ნომბრიდან ის კომპანიები, რომელთაც საკუთარი საქმიანობის პროფილი არ ექნებათ მითითებული 1000 ლარით დაჯარიმდებიან.

ვინაა, რომ ჩამოიწონი ბავსდა

სპორტული მატენდან ცნობილია, რომ კრივი სპორტის ერთ-ერთი სახეობაა – ორ სპორტსმენს შორის პრივილი განსაკუთრებული წესების დაცვით განვითარდა მუშტიკრივიდან, რომელიც ცნობილი იყო ეგვიპტისა და ბაბილონში, ანტიკური საბერძნეთში. ეს სპორტი შედიოდა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. მისი წესები შეიმუშავეს ინგლისში; – 1867 წელს დაამტკიცეს კრივის პირველი წესები. კრივი იყოფა ორ ნაწილად: სამოყვარულო და პროფესიონალური. სამოყვარულო კრივის ფედერაციას ეწოდება იბა.



დღესდღეობით უძლიერესი მოკრივეები არიან ვასილ ლომაშენკო (უკრაინა), სერგი სპივიცი (ყაზახეთი), ალბერტ სელიმოვი (რუსეთი), ალექსანდრე უსაკი (უკრაინა) და სხვები.

დღეს არაერთი ახალგაზრდა ეუფლება სპორტის ამ სახეობას. ერთ-ერთი მათგანია ყვარლის მეორე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე ნიკა ციციანიძე, რომელიც პატარაობიდანვე ოცნებობდა კრივზე და რომელსაც გარეგნული აღნაგობა ხელს უწყობს დაუფლოს ამ სპორტს და ამას თავადვე აღიარებს. მიღებული აქვს დიპლომები და ჯილდოები ამ სახეობის სპორტულ თამაშებზე, ხოლო ერთ-ერთი თბილისის კრივის ფედერაციის პრეზიდენტისაგან. ნიკა ამაზე თავად ისაუბრებს.

– ნიკა, ეს სპორტი შენთვის სამოყვარულოა თუ პროფესიონალი მოკრივე გინდა გამოხვიდე?

– ჩემთვის კრივის პირველი ადგილი უკავია სპორტის სახეობაში. ვერ გეტყვით, რომ სამოყვარულოა, მინდა პროფესიონალი მოკრივე გახდე და ვასახელი ჩემთვის უსაყვარლესი კახა მასწავლებელი, ჩემი საქართველო.

– როდის დაიწყო სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი წევრი. სულ რამდენი მოყვარული ხართ სექციაში?

– ამ სახეობის სპორტის წევრი რაც გავხდი ორი წელია. სექციაში დაახლოებით 30 მოსწავლე ვართ.

– ვინ არის შენი მწვრთნელი და რამდენად კმაყოფილი ხარ მისით?

– ეს სახეობა კიდევ იმიტომ ავირჩიე, რომ ხელს მინდობს ჩემი ფიზიკური აღნაგობა. მინდა ნამდვილი მოკრივე გავხდე, ამის ძალ-ღონეს მშატებს ჩემი მწვრთნელ – მასწავლებელი კახა ზაურტაშვილი. თქვენი გაზრდის საშუალებით მინდა მას დიდი მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ რასაც ვაღწევ, მისი დამსახურებაა.

– არ გეშინია ფიზიკური ტრავმების, რომელიც ამ სპორტს ახლავს ხოლმე თან?

– რაც შეეხება ტრავმებს, არ მეშინია, რადგან კარგად მაქვს გათვითცნობიერებული, რომ ამ სახის სპორტი უტრავმოდ არ არის, ეს ყველაფერი რომ ავიცილო თავიდან, კარგად უნდა ვივარჯიშო, რომ რინგზე მომზადებული შევხვედე ჩემს მეტოქეს.

– სხვა სახეობის სპორტი თუ გიტაცებს?

– ამ სპორტის გარდა სხვა სპორტით არ ვარ დაინტერესებული რადგან კრივი ბავშვობიდანვე ჩემი ოცნებაა.

– ვინ არის შენი ფანი კრივი, თუ გაქვს იმედი, რომ იყო მასავით ძლიერი?

– ჩემი ფანი ვასილ ლომაშენკოა, მინდა მეც მასავით ძლიერი ვიყო და სახელოვან-

ნი მოკრივე გამოვიდე, რათა იამაყონ ჩემმა მომლოებებმა, მეგობრებმა, სკოლამ და მთელმა საქართველომ. ისიც ვიცი, რომ ეს ყველაფერი დიდ შრომასთანაა დაკავშირებული

– რას გვეტყვი შენს მიღწევებზე ამ სახეობაში?

– მასობრივად მინდობს რაიონიდან გასვლა შეკრებებზე და შეჯიბრებებზე. სულ რამდენიმე დღის წინ ძირითადად ჩვენი რაიონის სპორტის აღსაზრდელს შეკრება გვეკონდა ქ. გურჯაანის სასპორტო სკოლაში. რაც შეეხება შეჯიბრებებს, ყველაფერი იმით მთავრდება, რომ იქიდან ვბრუნდები წარმატებული და გამარჯვებული, რაც ძალიან მახარებს.

– შენი საყვარელი მასწავლებელი.

– ჩემთვის ყველა მასწავლებელი ერთნაირია, სახელი მასწავლებელი აღბათ ყველასთვის ძვირფასია, რადგან რასაც გვასწავლიან, მათი დამსახურებაა. ყველა ჩემს მასწავლებელს ვუხდი დიდ მადლობას, რომ ზრუნავენ ჩემი და ყველა მოსწავლის მომავალზე, რომ მივიღოთ უკეთესი სწავლა-განათლება.

– შენი საყვარელი საგანი, თუ ხარ წიგნის მოყვარული, ან საერთოდ თუ იცნობ წიგნისთვის და რომელიც მწერლების ნაწარმოებები გიტაცებს?

– სასწავლო საგნებიდან მიყვარს ქართული, ისტორია, მწერლების ნაწარმოებებს რაც შეეხება – მიტაცებს ჰარი პოტერი, ბიძია თომას ქოხი და ასე შემდეგ.

– უკვე შეგიძლია კლასიკური ხარ, საბოლოოდ რა არის შენი მიზანი, რა კუთხით გააგრძელებ ცხოვრებას?

– მომავალში ვაპირებ გავხვე ჩემს მიერ არჩეულ სპორტს. ამის გარდა ჯერ არ მაქვს არჩეული რომელი პროფესიის ავირჩევ და სად ვისწავლი.

– რას ურჩევდი შენი თაობის ახალგაზრდებს?

– ჩემი თაობის ახალგაზრდებს ვურჩევდი გულმოდგინედ ესწავლოთ, რადგან სწავლა განათლება აუცილებელია, რითაც ჩვენი მომავალი უნდა განვსაზღვროთ, ამავე დროს, რაც მთავარია, არ დავიწყებდეთ სპორტი, მასთან ურთიერთობა არ განვიციტოთ, რადგან სპორტი ჩვენი ჯანმრთელობის საინდარია.

ესაუბრა დალი ტატულიშვილი

საინტერესო ღონისძიებებზე ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი



მიმდინარე წელი კულტურული მემკვიდრეობის აღნიშვნის ევროპული წელია. 29 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო გამოფენა – ილია და ევროპული ღირებულებები, რომლის შესახებაც მოწვეული სტუმრების წინაშე ისაუბრა მუზეუმის ფონდების მცველმა ლიანა ავაზაშვილმა.

ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო არქეოლოგს, პროფესორ ნოდარ ბახტაძეს. იგი დამსწრე საზოგადოებას ვრცლად ესაუბრა თემაზე – ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ თემას მუზეუმში უკვე წლებია საინტერესო ღონისძიებებს უძღვნიან.



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავტენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრა გიგილოვილი
მონადირე
ნუგზარ ღონისძივილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგილოვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარალი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86